საქართველო

№ 38 (65) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 19 სექტემბერი, 1943 წ.

გამყიდველობა და საბოტაჟი

განვლო ათმა დღემ მას შემდეგ, რაც ბადოლიომ მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელთან ერთად ხელი მოაწერა სამარცხვინო, გამყიდველურ პირობებს. ცნობილი გახდა გენერალ ეიზენჰოვერისა და გამყიდველი ბადოლიოს მიერ შეთითხნილი გამყიდველური დოკუმენტი. იტალიის კაპიტულაცია ამ დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებული იყო 13 პუნქტით. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ხალხის გამცემლობის მსგავსი მაგალითი. საზავო პირობის თვითეული პუნქტი, რომელიც ნაკარნახევია ინგლის-ამერიკელთა მიერ, ცხადჰყოფს იმ გარემოებას, თუ რა მოელის ევროპის ერებს მათი ევროპის მტრების „მოწყალებაში“ ყოფნის შემთხვევაში. მეორეს მხრივ ეს მოღალატური და იტალიის ხალხის სინდისის შემლახავი დოკუმენტი ამჟღავნებს ბადოლიოს ხროვის გამცემლობას.

ამ გამცემლობას თავისი ისტორია აქვს. ივლისის ბოლოს იტალიის უმაღლესი სარდლობა ფარულად ამზადებდა შეთქმულებას, რათა ზურგიდან დაეკრა იტალიის ტერიტორიაზე მყოფი გერმანული ჯარებისათვის. რკინიგზების შეკეთებას ისინი ხელოვნურად აჭიანურებდნენ, რის გამოც გერმანიის ჯარი იძულებული იყო თვით მოეწესრიგებინა იგი. ოთხი კვირის განმავლობაში ბადოლიოს ხროვის მიერ მოწყობილი იყო 35 მძიმე საბოტაჟი, რომელიც მიმართული იყო გერმანიის ჯარების კავშირის საშუალებათა წინააღმდეგ. ივლისის ბოლოს იტალიელებმა მიიღეს ღონისძიება აეფეთქებინათ რკინიგზის ხიდები და გვირაბები. ყველაფერი ეს ადასტურებს იმას, რომ იტალიის უმაღლესი სარდლობა 25 ივლისიდან იმყოფებოდა საიდუმლო კავშირში ინგლის-ამერიკელებთან და მოქმედებდა მათი მითითებათა მიხედვით.

8 სექტემბერს, როგორც ვიცით ბადოლიომ მიიღო გერმანიის წარმომადგენელი დოქტორი რანი და განუცხადა მას, რომ მისი მთავრობა არაოდეს არ წავა კაპიტულაციაზე. ეს იყო სწორედ იმ დღეს, როცა ბადოლიომ ხელი მოაწერა საზავო პირობებს კაპიტულაციაზე. 8 სექტემბერს, მეფე ვიქტორ ემანუილმა კვლავ განუცხადა დოქტორ რანს, რომ იტალია ერთგულია გერმანიისა და არ ფიქრობს წავიდეს კაპიტულაციის გზით. ეს განაცხადა მეფემ სწორედ იმ დღეს, როცა მოკავშირეებმა მთელ მსოფლიოს აცნობეს იტალიის კაპიტულაციის შესახებ.

იაპონიის ელჩის შეკითხვაზე, არის თუ არა ეს აქტი ღერძის სახელმწიფოთა კავშირის ღალატი, ბადოლიომ პირველად განაცხადა, რომ თითქოს იტალიას აღარ შესწევდა ძალა ომი განეგრძო. იაპონიის ელჩმა მას პირდაპირ განუცხადა, რომ მისი განცხადება არის სიცრუე. ცხადია ბადოლიოს ხროვას, რომელმაც ჩამოაგდო მუსოლინი, არ სურდა ბრძოლის გაგრძელება. მას სურდა ხელი შეეშალა გერმანიის ჯარისათვის და გაეღო კარები იტალიის მტრებისათვის. ბადოლიოს ორმაგი ღალატი და გამყიდველობა დღეს მთელი მსოფლიოსათვის ნათელია. გერმანიის არმიამ გაატარა სასწრაფო საჭირო ღონისძიებანი და საკადრისი პასუხი გასცა ბადოლიოს გამყიდველობას. იტალიის დღეს საიმედო ხელშია.

8 სექტემბერი იტალიის ისტორიაში დარჩება როგორც მოღალატეობისა და გამცემლობის აღმნიშვნელი შავი დღე.

დუჩე განთავისუფლებულია

გერმანელმა პარაშუტისტებმა, სახელმწიფო უშიშროების და „სს“ ჯარების მებრძოლებმა ჩაატარეს ოპერაცია მუსოლინის განთავისუფლებისათვის, რომელიც ტყვედ ჰყავდა ბადოლიოს გამცემლურ ხროვას. ოპერაცია წარმატებით დასრულდა, დუჩე განთავისუფლებულია. ამგვარად გაცამტვერებულია გამყიდველ ბადოლიოს პირობა ინგლის-ამერიკელთათვის დუჩეს გადაცემის შესახებ.

ბადოლიოს ღალატის შემდეგ

ადოლფ ჰიტლერის მიმართვა

10 სექტემბერს, საღამოს, თავის მთავარსადგომიდან ადოლფ ჰიტლერმა სიტყვით მიმართა გერმანელ ხალხს. სიტყვა გადაცემული იყო რადიოთი.

ხანგრძლივი დუმილისა და მოლოდინის შემდეგ, — სთქვა რეიხსკანცლერმა, — მე ვფიქრობ დადგა მომენტი, კვლავ ღიად მივმართო გერმანელ ხალხს.

იტალიის ნგრევის დასაწყისი დიდი ხნით ადრე შეიძლებოდა განგვეჭვრიტა, არა იმდენად იმის გამო, რომ იტალიას არ გააჩნდა შესაძლებლობა წინააღმდეგობის გაწევისა, ან აკლდა გერმანელთა დახმარება, არამედ უმთავრესად თანმიმდევრული საბოტაჟისა და ბრძოლაზე ხელისაღებით იმ ელემენტების მხრივ, რომელთაც მიზნად დაისახეს კაპიტულაცია. ის, საითქენაც მიისწრაფოდა ეს ხალხი მრავალი წლის განმავლობაში, ახლა იქნა განხორციელებული.

როცა ინგლისმა და საფრანგეთმა 1939 წლის სექტემბერში ომი გამოუცხადეს გერმანელ ხალხს, იტალია თანახმად ხელშეკრულებისა ვალდებული იყო დაუყოვნებლივ განეცხადებია თავის სოლიდარობის შესახებ გერმანიასთან.

ცნობილია, რომ მუსოლინს ჰქონდა ურყევი გადაწყვეტილება გამოეცხადებინა სწრაფი მობილიზაცია, მაგრამ სწორედ ამ ძალებმა, რომელთაც დღეს კაპიტულაციამდე მიიყვანეს იტალია, შესძლეს ხელი შეეშალათ მუსოლინისათვის 1939 წლის აგვისტოში იტალიის ომში ჩაბმის საქმეში.

მე, როგორც გერმანიის ხალხის მეთაურს უნდა გამეთვალისწინებინა ის განსაკუთრებული მძიმე შინაგანი სიძნელენი, რომლებიც იდგნენ მუსოლინის წინაშე. მე არც მაშინ, არც შემდეგ არ ამიძულებია იტალია გაენაღდებინა ის ვალდებულება, რომელიც ეკისრებოდა მას, როგორც მოკავშირეს. პირიქით მე მაშინ მივმართე იტალიის მთავრობას ან სულ არ ჩაებას ომში, ან თვითონ, თავისუფლად აირჩიოს ამისათვის ხელსაყრელი მომენტი.

1940 წლის ივნისში მუსოლინმა შესძლო ქვეყნის შიგნით წინამძღვრების შექმნა იტალიის ომში ჩასაბმელად გერმანიის მხარეზე.

ამ დროიდან გერმანია და იტალია ერთად აწარმოებდნენ ომს. ერთად იქნა დაღვრილი სისხლი სამხედრო მოქმედებათა მრავალ თეატრზე.

არც ერთ წუთს, როგორც მე ისე დუჩეს ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ ეს ომი სწყვეტდა ჩვენ ხალხთა ბედს. უწევდა რა ანგარიშს ამ გადაწყვეტილებას გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ თვით იყო ჩაბმული მძიმე ბრძოლაში, შესაძლებლობის მიღმა დახმარებას უწევდა თავის მოკავშირეს.

მთელირიგი წინადადებისა სამხედრო დახმარების შესახებ იტალიის სამხედრო ხელმძღვანელთა მიერ არა ერთხელ ყოფილა უარყოფილი, ან მიღებული მთელირიგი პირობების შემდეგ, რომლებიც თვით არ მოჰყავდათ სისრულეში. თავის დროზე საზოგადოებრივი აზრის წინაშე წარდგენილი იყო ფაქტები, რომელთაგანაც სჩანს რა გააკეთა გერმანიამ თავისი მოკავშირისათვის და როგორ იყო იგი მზად უფრო მეტის გასაკეთებლად.

გერმანიის დახმარების გარეშე ჩრდილოაფრიკა იტალიისათვის დაკარგული იქნებოდა ჯერ კიდევ 1940-41 წლის ზამთარში. მარშალი რომელის სახელი საუკუნეთა მანძილზე არ გაჰქრება იმ ღონისძიებათა გამო, რომელიც ჩაატარა გერმანიამ.

როცა 1941 წლის გაზაფხულზე გერმანიამ გადასწყვიტა დახმარებოდა იტალიას ბალკანეთში, ამას ის უკეთებდა არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ დახმარებოდა თავის მოკავშირეს. გერმანია ამ სამსხვერპლო საქმეს აკეთებდა მაშინ. როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ბოლშევიზმის თავდასხმა ევროპაზე.

გერმანიის სახელმწიფომ და მე მისმა მეთაურმა გავაკეთეთ ეს იმის შეგნებით რომ იტალიის სათავეში იდგა ჩვენი ეპოქის ერთერთი დიდი ადამიანი, იტალიის მიწის დიადი შვილი ანტიური ქვეყნის დაცემის შემდეგ. მისი ერთგულება აძლევდა ჩვენს კავშირს გამარჯვების საფუძველს.

დიდი ხნის წინათ მოფიქრებული სახელმწიფოებრივი გადატრიალების უკანასკნელ წერტილად გამოყენებული იქნა დუჩეს მოთხოვნა მისთვის დამატებითი რწმუნების მიცემის შესახებ ომის წარმატებით საწარმოებლად.

უკანასკნელ დროს ზოგიერთი მამაცი იტალიური რაზმების გამოკლებით პირველ საბრძოლო ხაზებზე იდგა მხოლოდ გერმანული ჯარი, რომელიც თავისი სისხლით იცავდა არა მარტო გერმანიას, არამედ იტალიის მიწასაც. იტალიის მთავრობა ვერასოდეს ვერ გაიმართლებს თავს, რადგან მის მიერ გადგმული ნაბიჯის შესახებ მან არ გააფრთხილა თავისი მოკავშირენი.

იმ დღეს, როცა მარშალ ბადოლიომ ხელი მოაწერა საზავო პირობებს, მან მიიღო გერმანიის რწმუნებული რომში და დაარწმუნა იგი, რომ მარშალი ბადოლიო არაოდეს გასცემდა გერმანიას, რომ იტალია არ მოახდენდა კაპიტულაციას.

ისტორია გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას და იტალიის შემდგომ თაობას შერცხვება ამ ტაქტიკის გამო თავისი მეგობრისადმი, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებას და ამისათვის არ ზოგავდა თავის სისხლსაც კი.

დუჩეს დაცემის შემდეგ აშკარა გახდა თუ რა მიზნები იმალებოდნენ რეჟიმის შეცვლაში.

ამიტომ მე გავეცი ბრძანება, მიეღოთ ყოველგვარი ზომა გერმანიის ხალხის ნაციონალური და სამხედრო ინტერესების დაცვისათვის.

ჩვენ მივიღეთ ფიცხელი გადაწყვეტილება განვახორციელოთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა ჩავშალოთ მტრის იმედები. მრავალრიცხოვანმა იტალიელებმა, რომელთაც შეინარჩუნეს სიამაყის გრძნობა, განაცხადეს იმ ერთიანობის შესახებ, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორივე ხალხს.

იტალიის გასვლა ბრძოლის ველიდან სამხედრო თვალსაზრისით უმნიშვნელო მოვლენაა, რადგან ბრძოლა ამ ქვეყანაში უკვე რამდენიმე თვეა სწარმოებს გერმანული ძალების მიერ. ჩვენ მომავალშიც განვაგრძნობთ ამ ბრძოლას ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვით, რომლებიც კი შეიძლება გადაგვეღობოს ამ ბრძოლის გზაზე.

მტრები ფიქრობდნენ, რომ შესძლებდნენ 25 ივლისის განხორციელებას გერმანიაშიც. ეს განზრახვა დამყარებულია შეცდომაზე: შეცდომაზე როგორც პირადად ჩემს, ისე ჩემი პოლიტიკური თანამებრძოლების, ჩემი ფელდმარშლების, ადმირალებისა და გენერლების მიმართ. დღეს, ვიდრე არაოდეს გერმანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს ფანატიკურად შედუღებულ ჯგუფს.

1939 წელს ჩვენ მარტო ვიდექით მოწინააღმდეგეთა წინ, რომელთაც ომი გამოგვიცხადეს. ჩვენ ვმოქმედებდით კლაუზევიცის ტრადიციის მიხედვით, რომლის აზრით ყოველგვარ ვითარებაში გმირული წინააღმდეგობა უკეთესია, ვიდრე მშიშრულად მორჩილებაში ყოფნა. ამიტომ მე 1939 წლის 1 სექტემბერს რეიხსტაგში განვაცხადე, რომ:

ვერავითარი დრო, ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მოდრიკოს გერმანელი ხალხი.

ამჟამად ჩვენი მოწინავე ხაზები ათასი კილომეტრით მეტად არიან მოშორებულნი გერმანიის საზღვრებს. გერმანიის სამშობლოს ტერორიზება მტერს შეუძლია მხოლოდ ჰაერიდან. მაგრამ ამ მხრივაც მიღებულია ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, არამარტო იმისათვის, რომ საბოლოოდ შესწყდეს ეს ტერორიზებული თავდასხმები, არამედ გადაუხადოთ მათ სამაგიერო სხვა ზომებით, უფრო საგრძნობი საშუალებებით.

მე ველი იმ დღეს, როცა ჩვენი ერი შეასრულებს თავის მოვალეობას ამ ბრძოლის ყველა დარგში. რწმენა და უძლეველობა გერმანელი ხალხისა უკუაგდებს მტრის ყოველგვარ ცდას, მოახვიონ გერმანიას დამონავებული ქვეყნის ხვედრი.

მე უსაზღვროდ ვამაყობ იმით, რომ ვითვლები ამ ხალხის ბელადად და მადლობას ვსწირავ განგებას იმ ენერგიისათვის, რომელსაც ის მაძლევს, რათა უფრო ენერგიულად ვიმუშაო და ჩემი მუშაობით მივიყვანო ჩვენი ისტორიის ეს უდიდესი ბრძოლა ბრწყინვალე დასასრულამდე.

ზომები, რომლებიც მიღებულია გერმანიის ინტერესების დასაცავად იტალიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მეტად მძიმეა, რამდენადაც ისინი ეხებიან იტალიას, მაგრამ ეს ამბები ეხლა გეგმაშეზომილად და სასურველად ვითარდებიან.

დე, იტალიის ბედი ყველასათვის იყოს იმის მაგალითი, რომ მძიმე წუთებში არაოდეს არ შეიძლება უარჰყო ნაციონალური სინდისის ალქმანი. ჩვენ ვრჩებით ერთგული ჩვენი მოკავშირის მიმართ. დე, ამის შედეგად გერმანიას განგებამ მისცეს ჯილდოთ დაფნის გვირგვინი გამარჯვებისა.

საბრძოლო დარიგება მტერზე შეტევის წინ...

ხორვატიის ღონისძიებანი

ხორვატიის მთავრობის მეთაურმა ანტე პაველიჩმა, მოწოდებით მიმართა ხორვატ ხალხს. „ისტორიულ საათში, — განაცხადა მან, — ჩვენ დარაზმულნი ვართ ჩვენი არმიის გარშემო, რომელიც გერმანიის არმიასთან ერთად ანთავისუფლებს ხორვატიის მიწებს ადრიატიკის სანაპიროებზე. დღეიდან ხორვატიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა უძლეველია". ხორვატიის სამხედრო მინისტრმა ნავრატილმა გასცა ბრძანება ადრიატიკის სანაპიროებზე ჩამორთმეული რაიონების დაცვის შესახებ.

იტალიაში მომხდარმა ამბებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს ხორვატიაში. ხორვატიის ჯარებმა თავისთავზე აიღეს ადრიატიკის სანაპიროების დაცვა. ბადოლიოს კაპიტულაციის შემდეგ, ხორვატიის მთავრობის მეთაურმა დოქტორ პაველიჩმა გაუქმებულად გამოაცხადა რომის, 1941 წლის ხელშეკრულება დადებული იტალიასა და ხორვატიას შორის. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა იტალიის მხრივ ხორვატიის დამოუკიდებლობასა და იტალიის ჯარების მიერ ადრიატიკის სანაპიროების დაცვას. გარდა ამისა ხორვატიამ უარი განაცხადა ხორვატული კრონის გადახდაზე იტალიის სამეფო სახლის პრინცის დაოსტას და ჰერცოგ სპოლეტოსათვის, რომელიც თავის დროზე არჩეულ იყო ხორვატიის მეფედ.

მარშალ ანტონესკუს პროკლამაცია

6 სექტემბერს მთელი რუმინეთი დღესასწაულობდა სამეფო ტახტზე მეფე მიხეილის ასვლისა და ხელისუფლების სათავეში მარშალ ანტონესკუს მოსვლის 3 წლისთავს.

მარშალმა ანტონესკუმ რუმინეთის ხალხს მიმართა შემდეგი პროკლამაციით: „სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დაუღალავად ვმუშაობთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მე მოვედი სათავეში არა ხელსაყრელი ვითარების დროს, როცა რუმინეთმა დაჰკარგა პატივი და ქვეყნის შიგნით ბატონობდა უწესრიგობა. ჩვენ გადაიტანეთ მძიმე წუთები და ამჟამად ვიბრძვით საკუთარი თავისუფლებისათვის. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენ ძალებს აღემატება".

რუმინული გაზეთები უძღვნიან ვრცელ სტატიებს მთავრობის მუშაობას ქვეყნის აღორძინების საქმეში. „მარშალის ღონისძიების წყალობით, — სწერს „კურენტული", — რუმინეთი დგას ცივილიზაციის სადარაჯოზე აღმოსავლეთში".

<>

იაპონიის კონტრშეტევა

იაპონიის საიმპერატორო სადგომის ცნობით, ახალ გვინეაზე მიმდინარეობს მძიმე ბრძოლა, რომელიც გამოიწვია იაპონელთა კონტრშეტევაზე გადასვლამ. მტერმა ჯერჯერობით ბრძოლაში დაჰკარგა 5.600 მოკლული. 30 ივნისიდან — მტრის დესანტის გადმოსხმის დღიდან — მათ დაჰკარგეს 358 თვითმფრინავი, იაპონელებმა კი — 103.

იაპონიის გაზეთების კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მტერს ახალ გვინეაზე დიდი რაოდენობის ცოცხალი ძალა ჰყავს, მიუხედავათ ამისა იაპონიის ჯარის ოპერაციები სწრაფია. იაპონიის ჯარის მომარაგება სწარმოებს წყალქვეშა ნავებით.

<>

რეგენტთა საბჭო

ბულგარეთის კრებამ, 9 სექტემბერს, აირჩია მცირეწლოვან მეფის სიმონის რეგენტები. არჩეულნი არიან: თავადი კირილე პრესლავსკი (გარდაცვალებული მეფის ძმა), მინისტრ-პრეზიდენტი, პროფესორი ფილოვი და სამხედრო მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი მიხოვი.

<>

ბულგარეთის პოლიტიკა

სოფიის გაზეთი „ზორა" თავის მეთაურ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბულგარეთი განაგრძობს მეფე ბორისის პოლიტიკას.

სამარცხვინო 13 პირობა

3 სექტემბერს, გენერალ ეიზენჰოვერისა და მარშალ ბადოლიოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შემდეგ სამხედრო საზავო პირობებს:

1. იტალიის შეიარაღებული ძალების მიერ ყოველგვარი სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა.
2. შესაძლებლობის ფარგლებში იტალიამ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა ხელი შეუშალოს გერმანიის ბრძოლას მოკავშირეთა წინააღმდეგ.
3. ყველა სამხედრო ტყვე ან ინტერნირებული, რომლებიც ეკუთვნიან მოკავშირეთა ერებს დაუყოვნებლივ გადაეცეს მოკავშირეთა ჯარების უმაღლეს სარდლობას. არცერთი სამხედრო ტყვე ან ინტერნირებული არ უნდა იქნას გაგზავნილი გერმანიაში როგორც ამჟამად, ისე მომავალში.
4. იტალიის ფლოტმა და საჰაერო ძალებმა უნდა დასთმონ ის პუნქტები, რომლებიც მითითებული იქნება მოკავშირეთა სარდლობის მიერ.
5. იტალიის სავაჭრო ფლოტი შეიძლება იქნას რეკვიზირებული მოკავშირეთა სარდლობის მიერ სამხედრო მიზნებისათვის.
6. დაუყოვნებლივი გადაცემა კორსიკისა და მთელი იტალიის ტერიტორიისა — იტალიის კუნძულებისა და კონტინენტისა, მოკავშირეთათვის საოპერაციო დასაყრდენი პუნქტების მოსაწყობათ, აგრეთვე სხვა მიზნებისათვის, რომლებიც აუცილებელ საჭიროებათ იქნება ცნობილი მოკავშირეთა მიერ.
7. მოკავშირეთათვის მისვლის თავისუფალი საშუალება ყველა ჰაეროდრომზე, ფლოტის დასაყრდენ პუნქტზე, მიუხედავათ იმისა როდის გასწმენდენ იტალიის ტერიტორიას გერმანიის ჯარები. ეს ნავთსადგურები და ჰაეროდრომები იქნებიან იტალიის შეიარაღებული ძალების დაცვის ქვეშ მანამდე, ვიდრე არ გადავლენ მოკავშირეთა ხელში.
8. იტალიის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ დაბრუნება იტალიაში ომის ყველა თეატრებიდან.
9. იტალიის მთავრობის გარანტია, იმის შესახებ, რომ მისი შეიარაღებული ძალები შესძლებენ ამ ვალდებულებათა სწრაფსა და ზუსტს შესრულებას.
10. მოკავშირეთა ძალების სარდალი იტოვებს უფლებას, თავისი აზრით განსაზღვროს მორიგი მოთხოვნანი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ინტერესების დაცვისათვის ომის შემდგომი გაგრძელებისას. იტალიის მთავრობა ვალდებულია თუ ამას საჭიროება მოითხოვს, შესცვალოს ადმინისტრაცია. მოკავშირეთა ძალების სარდალი, იტალიის ტერიტორიის იმ ნაწილებისათვის, სადაც ეს აუცილებელი იქნება მოკავშირეთა ერების ინტერესებისათვის, შექმნის სამხედრო მართველობას.
11. მოკავშირეთა ძალების სარდალს აქვს სრული უფლება გაატაროს ყველა ღონისძიება დემობილიზაციისა და განიარაღებისათვის.
12. სხვა მოთხოვნილებანი, როგორიცაა პოლიტიკური, სამეურნეო და საფინანსო ხასიათისა, გადმოცემული იქნება შემდეგ.
13. პირობა ამ შეთანხმებისა არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნას მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდალთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. შეთანხმების ოფიციალურ ტექსტად ცნობილია ტექსტი ინგლისურ ენაზე.



<>

ბირმის საზღვარზე

„მართალია ბირმის საზღვარზე რამდენიმე კვირის განმავლობაში არ სწარმოებს სამხედრო ოპერაციები, — სწერს იაპონიის გაზეთი „ასახი შიმბუნი", — მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბირმის საზღვარზე სიწყნარე გაგრძელდება".

პირიქით, დაზვერვის შედეგები გვაჩვენებენ რომ მიუხედავად წარსული მარცხებისა, მტერს აქვს განზრახვა კვლავ განახლოს შეტევა ბირმაზე. ინდოეთ-ბირმის საზღვარზე თავმოყრილია ბრიტანეთ-ინდოეთის არმიის 800 ათასი ჯარისკაცი. მათ რიცხვში ინგლისური და ამერიკული ჯარის ნაწილები არ აღემატებიან 100 ათას კაცს.

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

გასული კვირა მდიდარი იყო მსხვილი სამხედრო მოვლენებით, რომელთა ცენტრი, წინა კვირეებთან განსხვავებით იმყოფებოდა არა აღმოსავლეთში, არამედ ევროპის სამხრეთით.

მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე არსებითად უცვლელია. ბოლშევიკების შეტევანი ყველა მნიშვნელოვან პუნქტებზე კვლავ გრძელდება. გერმანიის თავდაცვა როგორც წინათ, ისე ეხლაც უკუაგდებს მტრის შემოტევებსა და აყენებს მას გამანადგურებელ ზარალს. ბოლშევიკების ძლიერი დაწოლა განსაკუთრებით იგრძნობა დონეცის აუზში, სამრეწველო რაიონში, რომელიც თავისი ხასიათით ძალზე ართულებს სამხედრო ოპერაციებს.

მთელი გასული კვირის განმავლობაში სწარმოებდა მძაფრი ბრძოლა იერიშზე გადმოსულ ბოლშევიკებსა და კონტრშეტევაზე გადასულ გერმანელთა შორის.

ფრონტის ხაზის შემოკლება დონეცის აუზში, სავსებით ბუნებრივი შედეგია დონეცის სამხრეთით ჩატარებული მანევრირებისა. დონეცის აუზი წარმოადგენდა შემოჭრილ სივრცეს, რომელზედაც კონცენტრირებული იყო საბჭოთა შეტევანი.

ძლიერი ბრძოლა, რომელიც 5 ივლისიდან მძვინვარებს აღმოსავლეთის ფრონტზე, უმთავრესად ხასიათდება გერმანელთა მხრივ „სივრცეთა თამაშით", ძალების დაზოგვით, — მეორე მხრივ ბოლშევიკების უდიდესი დანაკარგით და მათი ოპერატული გეგმის — გერმანიის პოზიციების გარღვევის - ცდის მარცხით.

მსხვილი, გადამწყვეტი მოვლენები მოითხოვენ შესაფერ ღონისძიებებს. ამ კუთხით უნდა განვიხილოთ გერმანული ტაქტიკა აღმოსავლეთში. ბრძოლის მთელ მანძილზე ამ ტაქტიკამ შეასრულა დავალება და ილწვის იქითკენ, რათა შეჰქმნას ყველა წინამძღვარი, შემდგომშიაც შეაჩეროს სისხლისაგან დაცლილი მტერი „სივრცისა და დროის თამაშით".

10 სექტემბერს, ბოლშევიკები შეეცადნენ მსხვილი ძალები გადმოესხათ ნოვოროსისკთან, მაგრამ ეს ცდა მათი სრული განადგურებით დამთავრდა.

ბადოლიოს მთავრობის გამცემლობამ და ამავე დროს ინგლის-ამერიკელთა დესანტის გადმოსხმამ სალერნოს უბეში (ნეაპოლის სამხრეთით) და ტორენტოში, გერმანიის სარდლობის წინაშე დააყენა ახალი დიდი ამოცანა ევროპის სამხრეთით.

ელვისებურად და გადამწყვეტი ხასიათის წარმატებით იქნა გატარებული გერმანელთა მიერ საჭირო ღონისძიებანი იტალიაში. ეს გარემოება ადასტურებს გერმანიის უმაღლესი სარდლობის შორსმჭვრეტელობას და მდგომარეობის სწრაფად შეფასების მაღალ უნარს.

გამცემ ბადოლიოს არმიას, რამდენადაც იგი განწყობილი იყო შეესრულებინა ბადოლიოს ბრძანება, არ ჰქონდა დრო მოეწყო სამხედრო შეთქმულება იტალიის ტერიტორიაზე მომქმედი გერმანიის ჯარისათვის. გენერალ-ფელდმარშალ რომელის სარდლობით ზემო იტალიაში და გენერალ-ფელდმარშალ კესელრინგის მეთაურობით სამხრეთ იტალიაში გერმანიის ჯარებმა შესძლეს განსაკუთრებული ოსტატობით ეწარმოებინათ დარტყმა, სამი დღის განმავლობაში განეიარაღებინათ ომის მდგომარეობაში მყოფი იტალიის მთელი შეიარაღებული ძალები და აღეკვეთათ ყველა მათი ღონისძიებანი, რომლებიც განვითარების პროცესში იმყოფებოდნენ. იტალიის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული, ყველა საზღვაო და საავიაციო პუნქტები რომლებიც აუცილებელნი არიან ევროპის დაცვისათვის ელვისებური სისწრაფით იქნა დაკავებული, მიუხედავათ იმისა, რომ ამავე დროს სწარმოებდა ბრძოლა ინგლის-ამერიკელთა მსხვილი ძალების წინააღმდეგ.

იტალიის ფლოტის ნაწილი, რომელიც გავიდა ზღვაზე და აიღო კურსი ალჟირისაკენ, რათა ჩაბარებოდა ევროპის მტრებს, აღმოჩენილი და განადგურებული იქნა გერმანიის საჰაერო ძალების მიერ. ჩაძირულია ერთი სახაზო გემი, მეორე კი ძლიერაა დაზიანებული; გარდა ამისა ჩაძირულია აგრეთვე ერთი კრეისერი, ორი საესკადრო ნაღმოსანი, დაზიანებულია ერთი კრეისერი და ერთი საესკადრო ნაღმოსანი.

სალერნოში გერმანიის ჯარი გმირულად ებრძვის მტერს და იცავს მნიშვნელოვან სიმაღლეებს მტრის ძლიერი შემოტევებისაგან. ტორენტოში გერმანიის დამცველი რაზმები წარმატებით ებრძვიან იქ მყოფ მსხვილ ბრიტანულ ძალებს. მტრის ძალების გადმოსხმის ადგილზე, სალერნოში ჩაძირულია 38 გემი.

სადესანტო მანევრი, რომელიც გერმანიის სარდლობამ ჩაატარა შორეულ ჩრდილოეთში ინგლის-ამერიკელთა მიერ აღებულ კუნძულზე შპიცბერგენზე, წარმატებით დასრულდა. გერმანელებმა გაანადგურეს კუნძულზე მყოფი სამხედრო და ეკონომიური ბაზები, წამოიყვანეს ტყვეები.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 13 სექტემბრის ცნობით ადრიატიკის ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპიროები სამხედრო ნავთსადგურის პოლას ჩათვლით იმყოფება გერმანელთა ხელში. გერმანიის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე მენტონის ნაწილი — გენუა. მასშემდეგ რაც რამდენიმე დღის წინათ, მიუხედავათ ბადოლიოს ჯარების წინააღმდეგობისა გერმანელებმა შესძლეს მონ-სენის გამაგრებული გვირაბის აღება, 11 სექტემბერს საღამოთი მათ დაიკავეს სან-ბერნარეს კარებთან მყოფი სანაპიროები.

მიმომხილველი

ეროვნული ერთობის საფუძვლები

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ანუ ერთმეფობისათვის

დასასრული*)



„გიორგი სააკაძე“

ნახ. ლევ. გ-ლის.

საქართველოს მთლიანობის იდეა მაინც ცოცხალი იყო და იბრძოდა. „განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, რომ „სწავლულ კაცთა“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდეც მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთის კუთხის, ან ნაწილისა. საქართველოს ერთობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა იმისდამიუხედავად, რომ პოლიტიკური ცხოვრება დაწვრილმანებული და დაქსაქსული იყო“. (მე-17-ე საუკუნის ბოლო და მე-18-ე საუკ. დასაწყისი) (ივ. ჯავახიშვილი).

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ანუ ერთმეფობისათვის მუდმივი იყო, „სისხლს არა რიდებდენ“ ამ მიზნისათვის, მაგრამ ზემოთაღნიშნულ მიზეზთა გამო იგი მიუღწეველი გახდა. ეს პოლიტიკა სცადა არა ერთმა მეფემ, მაგრამ ფუჭად. კარგი პირი უჩანდა ამ მხრივ ერეკლე მეორის, პატარა კახის მოღვაწეობას, რომელმაც გააერთიანა ქართლ-კახეთი, 1777წ.მოსპო ქსნის ერისთაობა, არაგვისა მოსპო მისმა მამამ (1743 წ.) და გაიხადა ყმადნაფიცად განჯისა და ერევნის, ყაზახისა და შამშადილის, შამქორისა და ყარაბახის ხანები. თითქოს იწყებოდა ქართული სამეფოს კავკასიური პოლიტიკაც და ნაბიჯიც იყო გადადგმული ქართულ დანარჩენ კუთხეთა შემოსაერთებლადაც. „იდეა საქართველოს გაერთიანებისა თანდათან კვლავ განცხოველდა. ცხადი იყო, რომ ამ იდეის მატარებელნი თუ კი ერთი მხრივ ძველს სამცხე-საათაბაგოსაკენ იცქირებოდენ, მეორეს მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ იმერეთს“... (ს. კაკაბაძე). ერეკლე მეფეს განზრახული ჰქონდა სოლომონ მეფის გადაყენება და იმერეთის შემოერთება, მაგრამ, აქაც გარეშე მტერმა — თურქეთმა ჩაშალა ეს მიმართულება. ხოლო ერთჯერ კიდევ, 1790 წელს, თბილისში, ერეკლე მეფეს ეწვივნენ იმერეთის მთავარნი და „სთხოვდენ მეფე ერეკლეს იმერეთის შემოერთებას და ძველი ერთობის კვლავ აღდგენას“. ამ საქმის გამოსაწყობად იმერეთის წარმომადგენლებად თბილისს ჩამოსული იყვნენ: ექვთიმე გენათელი, დოსითეოზ ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, ივანე აბაშიძე, ივანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცისკაცნი— ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ამ დელეგაციის თხოვნა იყო: **„ერთობით გაძლიერდით ჩვენით და გაგვაძლიერებთ თქვენით“.**

იმერეთის ეს წარჩინებული წარმომადგენლები უმტკიცებდნენ ერეკლე მეფეს, რომ „ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმის ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას ჰსურთ და ჰსწყურიანთ ესე, მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და ეხარისთ ბტონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა“.

გაერთიანებისა და ერთობის იდეას განსაკუთრებული სიძლიერითა და სიმკვეთრით იცავდნენ ჰაბუ ანუ იოანე ორბელიანი, კათალიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლეონიძე, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი.

გაერთიანებულმა სხდომამ ერთხმად მოიწონა საქართველოს ერთობის აზრი, მაგრამ როდესაც საკითხი პრაქტიკულად დაისვა: როგორ უნდა მომხდარიყო ეს გაერთიანება, — აქ წამოიჭრა ძლიერი იჭვები როგორც შინაურ, ისე საგარეო ვითარების ნიადაგზე. იოანე მუხრან-ბატონი სინამდვილის გრძნობით ამტკიცებდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ცხოვრება მოწყობილი, ვერ მოუვლია თავისი საკუთარი თავისათვის და იმერეთსაც როგორღა გაუძღვებაო. არის სხვა ცნობაც, თითქო დედოფალი დარეჯანი დაჟინებით გაიძახოდა, რომ „ჩვენს შვილისშვილს, სოლომონს ერგება იმერეთის გვირგვინი, რომლის ხელიდან მას ვერ გამოვსწირავთო“, მაგრამ ეს ყველაზე უფრო სუსტი საბუთი იყო. მთავარი უბედურება ისევ საგარეო ვითარებაში ბინადრობდა: თურქეთი ცუდი თვალით უცქერდა ამგვარი გაერთიანების აზრს, ვინაიდან იგი დასავლეთ საქართველოს თავის გავლენის არედ სთვლიდა.

ცხადია, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გაერთიანება უიჭველად იწვევდა თურქეთისა და სპარსეთის ჩარევას (იარაღით!) ქართულ საქმეებში, და ალბად არც რუსეთი იყო ამით დაინტერესებული და თავის მხრივ ზომებსაც მიიღებდა, რათა საქართველოს მთლიანობისათვის ხელი შეეშალა.

ამგვარად, ეს პირველი დიდი ცდა ერეკლეს დროში პრაქტიკულად უშედეგოდ დასრულდა. მისი მთავარი ნაყოფი იყო ის მოვლენა, რომ ერეკლე მეფემ იმერეთის ტახტზე აიყვანა თავისი შვილისშვილი, სოლომონ მეორე, რომელიც ერეკლეს კაცი იყო.

ცნობილია სოლომონ მეფის თქმა: ჩემი სახლი ერეკლეს სახლიაო. ამით მან გამოამჟღავნა ბაგრატიონთა ტახტის ერთობა და ოდეს ეს ტახტი შემდეგ რუსეთმა დაანგრია, სოლომონმა სამარე ჰპოვა ტრაპეზუნდის გორაკზე, საიდანაც მისი ჯვარი შავზღვასა და საქართველოს გაჰყურებს...

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გაერთიანების იდეა, ბაგრატიონთა ერთმეფობის შექმნის აზრი იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული მეთვრამეტე საუკუნის მიწურულშიც, რომ მოღვაწეობა ამ საქმის გამო არ შეჩერებულა. ეს ნათლად სჩანს იქიდან, რომ ორი წლის შემდეგ, უკვე დადებულ იქნა **„საკავშირო აღთქმა“**. მაგრამ ამ „საკავშირო აღთქმას“ უკვე სხვაგვარი მიდრეკილება აქვს საგარეო გეზით და ამჟღავნებს ახალ ორიენტაციას, რომელსაც მიზნად ჰქონდა რუსეთის მფარველობის მოპოება. ამგვარად, ამ „საკავშირო აღთქმის“ გეგმა იყო: **საქართველოს მთლიანობა და რუსეთის მფარველობა.** 1792 წელს, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ, იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ, (რომელიც ერეკლემ აიყვანა ტახტზე), ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა და გურიის მთავარმა სვიმონ გურიელმა დასდეს, ეხლანდელი სიტყვით რომ ვსთქვათ თავდაუსხმელობისა და თავდაცვის ხელშეკრულება, რომლის მრავალმხრივ შესანიშნავი შესავალი შემდეგია: „ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა, კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მოვასხებლობითაცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიც თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების“...

ამ ხელშეკრულების მთავარი დებულება:

მუხლი პირველი: „შევრიცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველისა სამეფოისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე: მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა და ყოვლისა შეძლებისა ჩემისაებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე: ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა ვითარცა მამა საზოგადო მათი.

მუხლი მეოთხე: უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე: უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა მაქვნდეს შეკრულობა, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბაშად ერთისა ავღუსტესისა კარისათა“ და სხვ.

ასეთ ხელშეკრულებას უდებდა პატარა კახი იმერეთის ხელისუფლებას და ასეთსავე პირობას აძლევდნენ მას უკანასკნელნიც.

ამ ხელშეკრულებებს ქართლ-კახეთის მხრივ ხელს აწერდნენ: მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა — ერეკლე, დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა — დარეჯან, საქართველოს კათალიკოზი — ანტონი, მსაჯული — სოლომონ ლეონიძე. ხოლო იმერეთის მხრიდან — იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, სამეგრელოს ანუ ოდიშის მთავარი — გრიგოლ დადიანი, გურიის მთავარი — სვიმონ გურიელი.

ამ ხელშეკრულების ანუ „საკავშირო აღთქმის“ დედააზრი მეხუთე მუხლში მოსჩანს: **საქართველოს ერთობა რუსეთის მფარველობაში. ესაა სრულიად ახალი პოლიტიკა ქართულ სახელმწიფოებრივ ისტორიაში,** მაგრამ არც ამ პოლიტიკას გამოუღია ნაყოფი, ვინაიდან ეს ნაბიჯიც უკვე დაგვიანებული იყო. ისტორიულად „ბედი ყოველთა ივერიელთა“ გადაწყვეტილი იყო. მოვიდა რუსეთი და აღგავა ყოველი სამეფო ქართული.

როგორ მდგომარეობაში იყო ქართული ეკლესია იმ დროს, როცა მთლიანი საქართველო დაიშალა?

ქართული სახელმწიფოს ზრდა-განვითარება და გაძლიერებასთან ერთად ქართულ ეკლესიასაც ემატებოდა სიძლიერე. ფართოვდებოდა მისი სამოღვაწეო ასპარეზიც. **კავკასიის მთებში ქრისტიანობა იყო გავრცელებული და ქართული ენა გაბატონებული.** ამ გავლენის მოცულობის გაფართოებასთან ერთად ეკლესიის ხელისუფალის ძალასაც ემატებოდა. თუ წინათ ქართველთა კათალიკოზი მარტივად „ქართლისა კათალიკოზად“ და მთავარეპისკოპოსად იწოდებოდა, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს იგი ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის სახელს ატარებდა და მეცამეტე საუკუნეში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო პატრიარქთა თანასწორად ითვლება.

ეს მოვლენა არ აიხსნება ზვიადობისა და განდიდების წადილით, არამედ იმით, რომ აღმოსავლეთში ქართულ ეკლესიას დიდი ადგილი ეკავა და განსაკუთრებულ ხელსაყრელ ვითარებაში იმყოფებოდა იმ მხრივაც, რომ მუსულმანური ტალღები მას ვერ სწვდებოდა, სანამ საქართველო ძლიერი იყო. ოღონდ საქართველოს სახელმწიფოს დაცემასთან ერთად ქართული ეკლესია კარგა ხნის განმავლობაში ფეხზე იდგა და საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა. ამ დროში ქართულ ეკლესიას და მის მთლიანობას უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობაც მიეცა, რადგან ეს ეკლესია მთლიანი და განუყოფელი დარჩა და კათალიკოზ-პატრიარქი კი ერის ერთობისა და ერთიანობის უზენაესი გამომხატველი შეიქნა.

საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ პირველი იერიში მოახდინა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ, რომელიც შეეცადა მესხეთის ცალკე ეკლესია შეექმნა მაწყურელი ეპისკოპოსის ამაღლებით. ამ დამარღვეველ ნაბიჯს საქართველოს კათალიკოსმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა; ყვარყვარეს პოლიტიკა დამარცხებულ იქნა, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებდა იგი განმდგომ ძალებს, როცა საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობა აღარ არსებობდა!? ათაბაგ მზეჭაბუკმა 1500 წელს გამოაცხადა მესხეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა, თუმცა შემდეგ მისმა ძმისწულმა ეს მოვლენა აღკვეთა, მაგრამ ერთჯერვე დარღვეული მთლიანობა შენარჩუნებული ვერ იქნა და უცხოელთა ჩარევითაც ქართული ეკლესიის ერთიანობა დროთა განმავლობაში მოისპო. მალე ლიხთ-იმერეთის ცალკე საკათალიკოზოც შეიქმნა და საქართველოს სახელმწიფოს საბოლოო დანაწილებასთან ერთად საქართველოს ეკლესიაც დანაწილდა.

ვ. ნოზაძე.

(* დასასრული. იხ. გაზ. „საქართველო“ № 37 (64)

ტყვე პროფესიონალი

ნიკოლოზ ნოვიკოვი 25 წლისაა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1941 წლის აგვისტოში, ნოვიკოვი იბრძოდა რა ბოლშევიკების მხარეზე, ტყვედ ჩაუვარდა ხელში გერმანელებს. ნოვიკოვმა სთხოვა მათ გაეგზავნათ იგი სატანკო ნაწილში სამუშაოდ. ნოვიკოვი მუშაობს ერთერთ სარემონტო სახელოსნოში, ერთ დღეს როცა ნაწილი იგზავნებოდა ჩრდილო-აფრიკაში იგი კვლავ შეეხვეწა სარდლობას გაეყოლებინათ სატანკო ნაწილისათვის.

ნიკოლოზ ნოვიკოვმა უკვე გაიგო „გზა ტყვეობისა“, სულ მალე გადავიდა ამერიკელთა მხარეზე და მოჰყვა ვირგინიის შტატში. ის ეწყობოდა სამუშაოზე, მაგრამ ამერიკელები ხომ იციან საქმის ხალხია. „მოკავშირეებს“ ცუდათ აქვთ საქმე რეზერვების დარგში და ამის გამო საჭირო იყო მისთვის საზარბაზნე ხორცი. ამიტომ მას აგზავნიან ერთერთ საზღვაო ტრანსპორტით საბჭოთა კავშირში.

ნოვიკოვს გზაზე შეემთხვევა ორი საზღვაო კატასტროფა, ავად გახდა ზღვის ავადმყოფობით, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც ჩაუვარდა ხელში მურმანსკის შინსახკომს. თვით ჩეკისტებსაც ძალზე გაუკვირდათ ნოვიკოვის უპრინციპობა. ჩვეულებრივი წესის მიხედვით შინსახკომელებმა ის არ დახვრიტეს, არამედ გააგზავნეს მოწინავე პოზიციაზე, როგორც „სამშობლოს მოღალატე“ რათა იქ დაემსახურებია ერთგულება და შემდეგ ეთხოვა პატიება „საბჭოთა ხალხისაგან“.

ნოვიკოვი ბედისაგან განებივრებული ახალგაზრდაა. ის ზის თავისთვის და გამომწვევი ტონით, მომღიმარი სახით ამბობს: „ვისაც უნდა იმან იომოს, მე ომი არ მინდა და არც ვიბრძოლებ“, აღმოსავლეთის ფრონტზე მან მხოლოდ ერთი დღე დაჰყო და მეორე დღეს გადმოვიდა გერმანელთა მხარეზე.

ნიკოლოზ ნოვიკოვის სახით ჩვენს თვალწინ სდგას ნამდვილი სახე ადამიანისა, რომელიც გვაჩვენებს თუ როგორ იხრწნება „მსოფლიო რევოლუციის“ — წითელი არმიის რიგები.

ο

პური თუ ტანკები?

ინგლის-ამერიკელი გაზეთების კორესპონდენტები მოსკოვში, რომლებიც იმყოფებოდნენ ფრონტზე ამერიკის პრესას გადასცემენ თავიანთ შთაბეჭდილებას. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინგლისური და ამერიკული იარაღის აღწერას. ამავე დროს ვაშინგტონში ქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა უარი თქვეს სამხედრო საჭურველის დაკვეთაზე, რადგან ისინი ამჟამად უფრო საჭიროებენ სურსათს.

მდინარის გადალახვით მტრის სანგრებისაკენ

შრომა და ბრძოლა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ჩვენი მუშათა ათასეული ფრონტის მახლობელ ზურგში იმყოფება. ლეგიონერები კარგათ გრძნობენ, რომ მათ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული მებრძოლი ძმების წარმატება სამშობლოსათვის ბრძოლაში. მუშათა ათასეულები ამარაგებენ ფრონტს სურსათით, გაჰყავთ გზები, აგებენ ხიდებს, აწარმოებენ აღდგინით სამუშაოებს, ასრულებენ სპეციალურ სამხედრო დავალებებს.

მუშათა ათასეულები ამავე დროს წარმოადგენენ მებრძოლ ერთეულებს, რომელთაც შესწევთ ძალა საკადრისი პასუხი გასცენ მტერს.

მუშა-ლეგიონერები მუშაობასთან ერთად ენერგიულად სწავლობენ სამხედრო საქმეს. თვითეულმა მათგანმა იცის, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა საამაყო და სასახელო საქმეა. ისინი მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი ამ დიადი საქმისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ გერმანულ სარდლობას აჩვენა ქართული მუშათა ათასეულის მაღალი საბრძოლო მომზადება.

მუშათა ათასეულს სამშობლოსათვის ბრძოლაში მრავალი სასახელო გმირობა ჩაუდენია. აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე ბოლშევიკებმა გადმოსხეს საზღვაო დესანტი. მუშათა ათასეული ასრულებდა სპეციალურ დავალებას. გაისმა თუ არა საგანგაშო მოწოდება, მთელი ათასეული ფეხზე დადგა, ნიჩბები და სხვა სამუშაო იარაღები შაშხანებმა, ტყვიამფრქვევებმა შესცვალეს.

მუშათა ათასეული შეხვდა მტერს....

ჩვენ გვქონდა გამარჯვების რწმენა და თავდადებით შევებით მტერს. ბრძოლა მძაფრი იყო. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენი ათასეულის მოწინავე ასეულები შეიჭრნენ ბოლშევიკების დესანტის მიერ გამაგრებულ ადგილებში და მთლიანად გაანადგურეს იგი. სარდლობამ მუშათა ათასეულს მადლობა გამოუცხადა.

ასეთი გმირული მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. ჩვენი ათასეულის ცხოვრება აღსავსეა მსგავსი საქმეებით.

ქართველი ლეგიონერები, რომლებიც მუშათა ათასეულებში არიან გაერთიანებულნი ღრმა რწმენით შეჰყურებენ მომავალს.

ლეგ. ბ. ს.

ბარაქიანი მოსავალი თურქეთში

თურქეთის მიწათმოქმედების მინისტრის განცხადებით მოსავალი წელს 40 პროცენტით აღემატება შარშანდელს. მინისტრის განცხადებითვე, გერმანიიდან თურქეთში მიიღეს 14.000 გუთანი და 1.000 სათესი მანქანა. ახალი სამეურნეო გეგმის თანახმად თურქეთის მთელი ტყეები გადავა სახელმწიფოს განკარგულებაში.

გელოდა დედა...

ძლვნად ბრძოლის ველზე დაღუპულ მეგობარს.

როს შემოგხედე გიცანი მყისვე
პირზე ჯერ კიდევ გაჩნდა ღიმილი,
უმალ მივიხვდი შენსა წადილისა
გავიგე შენი გულისტკივილი!..
შენ გალაღებდა შენ ძმებთან ერთად
თავისუფალი სამშობლოს ნახვა,
ვაშას ძახილით, ქართულ ყიჟინით
კავკასიონის მთის გადალახვა!..
და იქ, მთების იქით, ჩვენს ქვეყანაში
შენ მოუთმენლად გელოდა დედა,
შეახმა ხელი იმ ტყვიის მსროლელს,
ვინც სასიკვდილოდ შენ გაგიმეტა!..
ეხლა კი გძინავს, უსიზმრო ძილით,
გძინავს იდუმლად, განუძრეველად
და დილის სიო გიმღერის ნანას
საფლავის პირზე უკანასკნელად...
უნდა გიტიროთ? არა, არ გშვენის,
არ მოუხდება ვაჟკაცს ტირილი,
სამშობლოსათვის ველზე დაცემულს,
რად უნდა გლოვა, კვნესა, ქვითინი!..
კურთხეულ იყავ, მებრძოლო ძმაო
შენი სახელი უკვდავ დარჩება,
ვფიცავთ შენს საფლავს, სისხლსა
ავიღებთ
როცა აღქმული წუთი დადგება!..

ლეგ. ე. მ.

—ο—

კაგანოვიჩი „გენერალი“

ანკარიდან მიღებული ცნობით გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატი ემორჩილება სამხედრო მართველობას. ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ სარკინიგზო მიმოსვლას პირველხარისხოვანი სამხედრო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა რკინიგზებზე სამხედრო წესების დანერგვამ 1943 წლის გაზაფხულზე, მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველჰყო დისციპლინის გაუმჯობესება.

ამჟამად რკინიგზის ყველა მოსამსახურე ითვლება წითელ არმიის მსახურად. კრემლში არ ადასტურებენ ,რომ კაგანოვიჩი დარჩეს გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრად. ოფიციალურად ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ცნობების მიხედვით კაგანოვიჩი მალე მიიღებს „ტექნიკური ნაწილების გენერლის“ ხარისხს.

სანაპირო დაცვა

დიდი დრამა

გერმანულ გაზეთში „დას რეიხში“ მოთავსებულია იმპერიის მინისტრის დოქტორ გებელსის სტატია, რომელიც საინტერესოა ჩვენი მკითხველებისათვის. ვბეჭდავთ მას შემოკლებული სახით.

ომის ოთხი წლის მიჯნაზე ჩვენ გვსურს თვალი გადავავლოთ მახლობელ წარსულს და გავაშუქოთ მომავლის პერსპექტივები. ამისათვის სასურველია დავუბრუნდეთ და გამოსავალ წერტილად ავიღოთ უდიდესი დრამა, რომელიც 1939 წლის 3 სექტემბრიდან აზანზარებს მთელს მსოფლიოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არცერთი სახელმწიფოებრივი მოღვაწე მტრის ბანაკიდან, 1939 წლის სექტემბრის დასაწყისში, გერმანიის წინააღმდეგ გულუბრყვილო ომის დაწყებისას, ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს, თუ რა ბოროტი შედეგი მოჰყვებოდა მათ მზაკვრულ გადაწყვეტილებას.

მათი მოქმედება გამოწვეული იყო სიძულვილით, იმის შეგნებით, რომ ისინი არ არიან სრულყოფილნი და პოლიტიკური უჭკუობით. თავიანთი სიბეცით მათ სწამდათ, რომ მათ შეერთებულ ძალას შეეძლო გერმანელ ხალხზე ადვილად მიეტანა სასიკვდილო დარტყმა, რომელიც მიუხედავად დიდი ძალმომრეობისა მათ ვერ მიიტანეს ვერსალში. 1939 წელს სექტემბერში ჩვენს წინააღმდეგ გამოსულ კოალიციაში არ იყო არცერთი სახელმწიფოებრივი მოღვაწე, რომელიც ფლობდა თანამედროვე მსოფლმხედველობის შემგუებელ იდეებს ხალხთა თანაცხოვრების შესახებ მსოფლიოში.

მტრის ბანაკში საქმე გვაქვს წმინდა წყლის რეაქციულობასთან. მათი გეგმა იყო დაენგრიათ გერმანია, რადგან ახალგაზრდა ერის ცხოვრების წყურვილი, ზეჭარბად დასახლებულ ქვეყანაში ძლიერ იგრძნობოდა.

სწორედ ეს გახდა ომის მიზეზად.

ცხადია მტრებს ომი წარმოდგენილი ჰქონდათ სულ სხვაგვარად, ვიდრე ის სინამდვილეშია. ეს სჩანს იმ ფაქტიდან, რომ ინგლისში, ვიდრე ბრიტანელ ხალხს არ დაატყდა თავზე ომის საშინელებანი, ლაპარაკობდნენ „მომხიბლველ“ ომზე, რომელშიც მტრის არმიები, გაანადგურებდნენ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს, შევიდოდნენ ბერლინში და იქ უკარნახებდნენ გერმანელ ხალხს სამარცხვინო ზავს, რომელთანაც შედარებით ვესტფალიისა და თვით ვერსალის ზავი მოგვეჩვენებოდა კეთილშობილებათ.

გერმანიის ხალხს და მის მთავრობას ბრალი არ მიუძღვით ამ ომში, ის მათ თავზე მოახვიეს. ჩვენი მიზანდასახულობანი და გეგმანი ყველა დარგში ატარებდნენ განსაკუთრებით მშვიდობიან ხასიათს. სახელმწიფოს საფუძველი მტკიცეა და მისი მდგომარეობა ყოველი მიმართულებით — შეურყეველი გერმანიის მთავრობა ბრწყინავდა ისტორიული დიდებით — მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანების შესრულებით და მას არ ესაჭიროებოდა მოეპოვებინა დიდება, ომის პროვოცირებით.

გერმანიის მდგომარეობა ომის დაწყებიდან უფრო და უფრო სერიოზულია. დასავლეთში დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გამაგრებული ხაზების დაცვის ქვეშ,ითვლებოდა მიუვალად. ჩავებით ომში, რომლის მუქარა იყო გერმანელი ხალხის განადგურება. ინგლისმა გადასწყვიტა საზღვაო ომის გზით კვლავ შეექმნა ბლოკადა და ვაეძულებინეთ ჩვენ სიმშილისაგან თანდათან დავლუპულიყავით, აღმოსავლეთში პოლონეთის არმიამ აწარმოა ცდა — შემოჭრილიყო გერმანიის ტერიტორიაზე. ჩვენს უკან იდგა ბოლშევიზმი, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა პირველი ხელსაყრელი შემთხვევა, რათა მიეტანა სასიკვდილო იერიში გერმანიის იმპერიაზე.

ფიურერმა თავისი შესანიშნავი სტრატეგიით შესძლო გაეწყვიტა მარყუში, რომელიც ჩვენს დახრჩობას ლამობადა ომის დასაწყისში. მტერმა ვერცერთი ქალაქი ვერ აიღო. ქვეყნები, რომლებიც გვემუქრებოდნენ ჩვენ ერთიმეორეზე იქნენ დათრგუნვილი. მტრის საზღვაო ბლოკადის ხმალი ბლაგვი აღმოჩნდა. ჩვენ არ გვემუქრება სიმშილი და ნედლეულის ნაკლებობა. ჩვენ გვაქვს ყველაფერი რაც საჭიროა გამარჯვებისათვის და ჩვენ მოვალე ვართ ის დავიცვათ. უდიდესი სივრცე ჩვენს მიერ მოპოებული საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ მოძრავი სტრატეგია, გამარჯვებისათვის საჭირო შანსების შემცირების გარეშე. ჩვენს ხელშია მძლავრი ბერკეტი და მტერი გამწარებით ჩაიგდებდა მას ხელში, ამის ძალა რომ შესწევდეს. მაგრამ ვინაიდან მას ამის ძალა არ შესწევს, იგი თავს ესხმის არა ჩვენს ჯარისკაცი არამედ ქალებსა და ბავშვებს გავარვარებული ფოსფორით.

სამხედრო ვითარებანი მიმდინარეობენ ტალღისებურად, ერთი ღამის განმავლობაში შეიძლება მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალოს, ამიტომ მეტი შანსები მის ხელშია ვინც ფლობს მეტი რაოდენობის საწინდარს. ჩვენ ძალებს ვკრეფთ არა მარტო ჩვენი ხალხის ენერგიის რეზერვუარიდან, არამედ ყველა ვებერთელა სივრცეებიდან, რომლებიც დაპყრობილია ჩვენი ჯარის მიერ. ჩვენ მივყვებით ნათელ პოლიტიკურ მიზანს, რომელიც ჩვენს მტრებს არ გააჩნიათ.

ყველა ხალხი სვამს საკითხს ამ ომის ხანგრძლივობის შესახებ, ეს გასაგებია რადგან ომი წარმოადგენს ჯერ კიდევ უნახავ მძიმე ტვირთს. ომი გაგრძელდება მანამდე ვიდრე ხალხის ბედი არ გადაწყდება უდაოდ, ცხადათ. ეს გადამწყვეტი მომენტი შეიძლება დადგეს ერთი თვის შემდეგ, ან ერთი წლის შემდეგ, ეს არავის შეუძლია განსაზღვროს რადგან თანამედროვე ომის ფაქტორები არ შეიძლება აბსოლუტური სიზუსტით იქნას განსაზღვრული.

უკანასკნელ კვირაში ბრიტანულსა და ამერიკულ საზოგადოებაში ისმის სკეპტიციზმის ხმები შექმნილ სამხედრო მდგომარეობის მიმართ. ლონდონში და ვაშინგტონში თანდათან ცხადი ხდება, რომ ღერძის სახელმწიფოების მოწინააღმდეგეთა წარმატებანი არ წარმოადგენენ გადამწყვეტს ომში. მოლოდინი იმის შესახებ, რომ საჰაერო ტერორის მსხვერპლნი გახდებოდნენ ლონდონისა და ვაშინგტონის საიდუმლო მოკავშირეებათ არ გამართლდა.

მტერი ყველაფერში შესცდა გერმანელი ხალხის წინააღმდეგ ომში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის ომს აწარმოებს არა ჩვენი რეჟიმისა და პოლიტიკური შეხედულებათა წინააღმდეგ, არამედ განსაკუთრებით ჩვენი ხალხის, როგორც ასეთის წინააღმდეგ.ჩვენი პასუხი ამის გამო იქნება იარაღით ბრძოლა ყველა ფრონტზე ჩვენი თავისუფლებისათვის.

ეს ომი ჩვენ არ გვსურდა. ის წარმოადგენს ჩვენთვის მძიმე მოვალეობის შესრულებას, მაგრამ მტერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ მოვალეობას ჩვენ შევასრულებთ მტკიცედ, საბოლოო გამარჯვებამდე.

სიამაყით და სიმართლით გადავდივართ ჩვენ ომის მეოთხე წლიდან — მეხუთეში. ჩვენ ვიბრძოლებთ და ვიმუშავებთ მანამდე, ვიდრე არ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

ვ. ურდოელი.

ჩემი პასუხი

მეუბნებიან: ხშირად ლექსებში
გარითმებული გაქვს ვერხვი, ვარდიო,
ხან გრილ წყაროთა ჩქამი ხევებში,
ხან ვარდისქალის გულის დარდიო!..
ნუთუ სხვა რამე ველარ მონახე,
რომ მით მოხიბლო ქვეყნის გულიო,
ჩანჩქრებს რად უმღერ, კლდიდან
მონახეთქს,
სხვა მხრიდან არის გადმორგულიო!..
მე, შეიძლება, ბევრს ვცოდავ თქვენს წინ,
როგორც პოეტი და მომღერალი,
სიტყვის ბრწყინვალე მწვერვალს ვერ
შევსწვდი
და ულონობით დაშრა მელანი!..
რომ ვერ შევიძელ თქვენი ფიქრების,
თუ სურვილების ლექსში მოცემა,
თქვენი სიმხნევის თუ ტკივილების
გულში ზღვის მძაფრი ტალღად მოსევა.
იქნებ მართალიც იყოთ იმაშიც,
რომ ლექსი ხშირად კოჭლობს, ბლაგვია,
მაგრამ თუ ვარდებს ხშირად რითმად
ვშლი,
ეხლავე გეტყვით რისი ბრალია.
არის ქვეყანა — მას გული უდევს,
თუმც პატარაა! ამაყ მთებისა,—
ვის არ სმენია ქართული კუთხე,
კუთხე ვარდის და ყვავილებისა!
მე ამ ქართული მიწის შვილი ვარ
და მისი თვალის სიტურფეს ვეტრფი,
ლექსებიც მიტომ შემოსილი მაქვს
ამ ყვავილებით, ვარდით და ვერხვით.
ხედავთ? — ჩანჩქრებსაც ჩემს გზით
უვლიათ,
ლექსში მოჭრილან გრიგალქარულად,
თითქოს უჩემოდ ვერ გაუძლიათ
და უცხოეთში გამოპარულან!..
აქ მათი ხმა და მათი ჩქაფანი
ზღვა ნდომასავით მკერდზე მედება,
გულში ჩამდგარა როგორც ზღვაური
და მარადისი დაიმედება!..
მე სილამაზე ქართულ ბუნების
იის და ვარდის სახით გამომყვა,
მიტომაც ჩემი მზე ქალწულებიც
ხშირად ვარდისფერ კაბით გამომყავს!..
მე არ ვყოფილვარ სხვა ცის მძებნელი,
არაფერს ვითხოვ უცხო მხარიდან,
მე მხოლოდ ქართლის ბედნიერების
და მზეგრძელობის მომღერალი ვარ!
მე მიწა მინდა მინდიას სიბრძნის,
ირაკლის ხმალი, გული მხურვალი,
მხოლოდ თბილისის გულისთვის ვიბრძვი,
თბილისის მზის და მიწის მწყურვალი!..
და თუ ამ გზაზე უნდა დავეცე,
თუ სიკვდილის მეტს არას მოველი,
თუ ბედი მხოლოდ მიტომ მაქეზებს,
რომ მსხვერპლი გავხდე ბებერ გოვენის,
ხომ დამირჩება აზრის სინათლე,
გატაცება და სპეტაკი სული,
რაც ბავშვობიდან ასე ვინატრე
და ჩემში ჩადგა ვით ხატი სრული.
დამრჩება მე ამ ლექსების რვალი,—
უცხო ცის ქვეშაც მზესავით მწველი,
ვით სააკაძის ელვარე ხმალი —
გადატეხილი მისივე ხელით!..

ჰელსინკი. ფინეთის დედაქალაქი.

ცეცხლის ხაზისაკენ.

ძველი მეთოდი

ამერიკიდან საბჭოთა კავშირში სანაოსნო გზით სურსათის გადაზიდვა ამჟამად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მართალია ჩერჩილი და რუზველტი ამასწინათ გამოვიდნენ დეკლარაციით თითქოს იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც მათ გააჩნიათ გერმანიის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლაში.

მართალია ისიც, რომ ისინი „წარმატებით“ იბრძვიან, მაგრამ ზღვაზე ნაოსნობა მაინც საფრთხის წინაშეა, საფრთხეშია ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. ეს ასეა, მაგრამ ხომ საჭიროა მიჰყიდო საბჭოთა მთავრობას მარცვლეული და ამისათვის უნდა ეძიო გამოსავალი.

ირანის სასურსათო უწყების დირექტორმა, ამერიკელმა მილსპაუგამ გამონახა ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალი. პირდაპირ —სენსაციაა და მეტი არაფერი. „რატომ უნდა ვზიდოთ მარცვლეული ზღვით, განაცხადა მან, — როცა მისი გადაზიდვა შეიძლება ხმელეთითაც?“.

მილსპაგუას დიდხანს არ უფიქრია ამის შესახებ. მან ამ მიზნით ირანის თურქესტანის მოსახლეობაში კონსფისკაცია უყო 5.000 ტონა მარცვლეულს.

პირველ შეხედვისთანავე — ამ „მოღვაწეობაში“ ახალი თითქოს არაფერია, მეთოდი, როგორც სჩანს ძველია, მაგრამ ყოველი ჯურის მძარცველები ძველი დროიდანვე მიმართავენ ამ მეთოდს.

სატორპედო თვითმფრინავები

თანამედროვე ომში პირველად არის გამოყენებული სატორპედო თვითმფრინავები. გატყორცნის რა ტორპედს თვითმფრინავი განაგრძობს საკუთარ მიმართულებას. საჰაერო ტორპედი მსგავსად წყალქვეშა ტორპედისა მოგრძო ფორმისაა და უფრო მსუბუქია. ის შესდგება ამფეთქ ყუმბარისაგან და მამოძრავებელი აპარატისაგან. უკანასკნელს აქვს ხრახნილი და საჭე.

ტორპედს აქვს მეტად ძლიერი აფეთქებისა და დამსხვრევის უნარი. იგი ფეთქდება გემის კედლებთან წყლის ზემოდ. ამგვარ საჰაერო ტორპედებს განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად გემების ქარავნების ჩაძირვისას ყინულოვან ოკეანეში და ინგლისის ხომალდების განადგურებაში იაპონიის ავიაციის მიერ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის სატორპედო თვითმფრინავების ესკადრილიებმა მსოფლიო ყურადღება მიიპყრეს. მათ თვაიანთი ბრწყინვალე საჰაერო თავდასხმებითა და ბრძოლით ინგლის-ამერიკელთა გემებზე ხმელთაშუა ზღვაში, დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე.

„დაჰყავი და იბატონე“

საუკუნეთა მანძილზე, თავის მრავალფეროვან, მდიდარ ისტორიულ გზაზე, ქართველი ერი შეუპოვრად იბრძოდა თავისი ნაციონალური მთლიანობისა და მეობის შენარჩუნებისათვის. ვინ არ აოხრებდა საქართველოს — სპარსები და თურქები, ბიზანტიელები და რომაელები, სკვითები და მონღოლები, არაბები და თურანელები, შუააზიელი ურდოები, რუსი დამპყრობელნი, მაგრამ იგი ათასჯერ განადგურებული, მიწასთან გასწორებული, კვლავ აღმსდგარა.

სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო არა ერთხელ გაერთიანებულა. ქართველ ერს ბედი ყოველთვის სწყალობდა, განსაცდელის ჟამს მას ხშირად მოევლინებოდნენ დიდი ადამიანები, რომლებიც აერთიანებდნენ ქართულ მიწას.

ვახტანგ გორგასლანიდან დაიწყო ქართული ნაციონალური სხეულის გაერთიანება, ამ გაერთიანებული ეროვნული სახელმწიფოსა და მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა მის მიერ აგებული ახალი დედაქალაქი თბილისი. მე-10 საუკუნეში საქართველოს გაერთიანების იდეა ქართლში წარმოიშვა, რომელსაც მეთაურობდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშიძე — მე-10 საუკუნის ქართველი ბისმარკი, რომლის იდეის დაგვირგვინება მოცემულია დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის მიერ შექმნილ საქართველოს იმპერიაში.

ქართველმა ნიჭიერმა მხედართმთავარმა და მეფე-პოლიტიკოსმა ერეკლემ ერთხელ კიდევ სცადა ქართული დროშის ქვეშ შემოემტკიცებინა მთელი საქართველო, მაგრამ მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლამდე, ვიდრე კვლავ არ აღადგინა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ 1921 წელს იგი კვლავ დაეცა. საბჭოთა რუსეთმა იგი შეიერთა, როგორც „მოკავშირე“. ამ დღიდან საქართველოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა—ეს იყო ნაციონალური თავდაცვა.

საქართველო, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა შორის თავისი ისტორიული წარსულით, კულტურით, ნაციონალური მთლიანობით, ენით, ტრადიციით ყოველთვის მოწინავე იყო და კავკასიაში, როგორც მე-18 საუკუნეში, ისე მე-20 საუკუნის მიჯნაზე ძალით შემოსეულ რუსეთს დაუხვდა მტკიცე, ერთიანი ნაციონალური შეგნებით. რუსეთმა ისე, როგორც სპარსეთმა და თურქეთმა ვერ მოდრიკა იგი. საჭირო იყო მისი ნაციონალური კედელის შენგრევა სხვა მეთოდით და სწორედ ეს მეთოდი გახლდათ ცნობილი დევიზი ყოველივე დამპყრობელისა „დაჰყავი და იბატონე“,რომელსაც საქართველოს მიმართ მეთოდურად ატარებდა რუსეთის მონარქიული მთავრობა. ამ გზაზე ვიდოდა და მოდის საბჭოთა რუსეთიც.

„დაჰყავი და იბატონეს“ შავრაზმულ და შოვინისტურ თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს საქართველოს ნაციონალურ-ისტორიულ ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ერთეულებისა აჭარისტანისა და აფხაზეთის ა.ს.ს.რ. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქების შექმნა ცხინვალისა და ჯავის ხეობაში, ქართლის შუაგულში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ეს ორი ერთეული — აფხაზეთი და აჭარისტანი უშუალოდ დაკავშირებული იყო მოსკოვთან, მაგრამ მოსკოვი იძულებული გახდა გაეწია ანგარიში საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობისათვის (მოიგონეთ ლენინის ცნობილი სადირექტივო წერილი ქართველი კომუნისტებისადმი, სადაც ის აფრთხილებდა მათ არ დაეშვათ ის შაბლონი საქართველოში, რაც ჩაიდინეს რუსეთში ბოლშევიკებმა). ლენინი გრძნობდა ქართული სულის სიდიადეს, რომ ის არასოდეს შეურიგდებოდა რუსული ბოლშევიზმის ბატონობას და თითქოს ვორონცოვისებური დათმობის გზას დაადგა. ალბათ ამის გამო მოხდა ის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ პარალელურად აფხაზეთი და აჭარისტანი საქართველოს ცენტრს — თბილისს დაუკავშირეს, მაგრამ არა ავტონომიური გზით, არამედ საგანგებო ხელშეკრულების ძალით აფხაზეთსა და საქართველოს შორის.

აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოსთან, ეს საქართველოში გადმოსახლებული ჩერქეზების მოდგმის ხალხი, რომლის მოსახლეობის ძირითად ერთეულს წარმოადგენს გუდაუთის რაიონი, იმდენად დაკავშირებული იყო და არის ჭირსა და ლხინში საქართველოსთან, რომ ძნელად თუ იპოვით აფხაზებსა და ქართველებს შორის სხვაობას. აფხაზი ტრადიციით, კულტურით, ენით, ერთია ქართველთან და არავითარი საერთო სლავიანების ტომის რუსის ხალხთან მას არ აქვს.

ქართველ ერთან კავშირს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აფხაზური გვარები წმინდა ქართულია — შარვაშიძე, ემუხვარი,ლადარია, უბირია, გულია და სხვ. აფხაზები ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ქართველებთან ერთად საქართველოს ისტორიულ წარსულში. როცა უღირსმა გიორგი რუსმა აჯანყება მოაწყო ქართველი მეფის თამარის წინააღმდეგ, აფხაზებმა შეიპყრეს ქვეყნის მოღალატე და მიჰგვარეს თამარს.

აფხაზი ხალხი ისტორიის მანძილზე, იზრდებოდა და ვითარდებოდა სულიერად ქართველებთან ერთად. აფხაზურ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში მოცემულია თამარ მეფის სახელი, ის მოხსენებულია როგორც აფხაზეთის ხალხის საყვარელი მეფე. შოთა რუსთაველის აფორიზმებს დღესაც ზეპირად ამბობენ აფხაზი მოხუცი გლეხები და მისი სურათები ამშვენებენ აფხაზთა ოჯახებს. წმინდა გიორგის, ილორის სასწაულმომქმედი ხატის დღეობაზე აფხაზებთან ერთად ნახავთ ქართველებსაც.

აფხაზები ქართველ საუკეთესო მამულიშვილებთან ერთად ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის. აფხაზთა საუკეთესო ინტელიგენცია მედგრად ებრძოდა ყველა მათ, ვინც ფიქრობდა საქართველოდან გათიშვას. აფხაზი ხალხი და აფხაზეთი ორგანიული ნაწილია საქართველოსი, როგორც შთამომავლობით ისე ისტორიულად, ეკონომიურად და ტრადიციით. ამგვარად აფხაზი ხალხის შემდგომი აღორძინება, მისი ეროვნული, კულტურული და ეკონომიური განვითარება მოითხოვს მის ჩაყენებას ბუნებრივს ფარგლებში — ეს არის მისი ბედის მტკიცე გადაჯაჭვა საქართველოს ბედთან.

„დაჰყავი და იბატონეს“ თეორია აჭარასაც წვდა. საქართველოს ისტორიული პროვინცია, რომელიც მდებარეობს ჭოროხის აუზში, ბოლშევიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით მსჯელობის საგნად გადააქციეს და ქართულ ნაციონალურ ტერიტორიაზე შექმნეს ხელოვნურად ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც დიდხანს ატარებდა აჭარისტანის სახელს, ბოლოს სახელი გაუქართულეს და აჭარით შესცვალეს.

ლეგ. დურუჯელი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ილუსტრირებული მიმოხილვა

ფრონტზე — სანგრებში, შეტევისას, დასვენებისას და ყველგან, გერმანელი ჯარისკაცი რწმენით სავსე შეჰყურებს მომავალს, მას სწამს დიადი საქმე, რომლისთვისაც ის მხნედ იბრძვის. აქ ნაჩვენებია სურათები მამაცი გერმანელი ჯარისკაცის მებრძოლი ცხოვრებიდან. მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ: ლადოგის ტბის სამხრეთით. გერმანელი მეტყვიამფრქვევე სანგარში. — გერმანული ბატარეის მეთაური მადიანად შეექცევა საუზმეს ძლიერი ბრძოლის შემდეგ. — ძლევამოსილი „ტიგრის“ მომზადება სროლისათვის. — ქვემეხი ბანუწყვეტლივ ესვრის მტერს. მარცხნივ ზემოდან ქვემოთ: მხნე ნაბიჯითა და სიმღერით ტანკებთან ერთად. — ისინი უთვალთვალებენ მტრის პოზიციებს. — ბოლშევიკების ტანკების ერთერთი სასაფლაო. — იწვის მტრის თვითმფრინავი. — „ტყვია წამალი... ტყვია წამალი!..“ ეძახის იგი მებრძოლ მეგობრებს.

იცით თუ არა თქვენ?

...რომ ნავთის მოპოვება მიწის წიაღიდან შეიძლება ტორპედოს დახმარებით? გამოთქმა ნავთის „ტორპედირების“ შესახებ ადრე იყო ცნობილი, ვიდრე დაიწყებდნენ გემების ტორპედირებას ატლანტიის ოკეანეზე. რამდენიმე ათეული წლის წინათ მიწის წიაღიდან ნავთის მოპოება სწარმოებდა ეგრეთწოდებული ტორპედოს დახმარებით. ხშირად ნავთის წყაროები იმყოფებიან დედამიწის სიღრმეში ათასი და უმეტეს შემთხვევაში ორი ათასი მეტრის სიღრმეზე. კირის, ქვიშისა და მიწის მასა ხელს უშლის ნავთის ამოხეთქვას მიწის ზედაპირზე. იმისათვის, რომ ნავთს გზა გაეხსნას მიწის ზედაპირისაკენ, ჭაბურღილებში, რომლებიც აღწევენ ნავთის საბადოებს, სდებენ ასაფეთქებელ ნალმს. ნალმის აფეთქების შედეგად ნავთისათვის გზა გახსნილია. ამ პროცესს სპეციალისტები უწოდებენ ნავთის ტორპედირებას.

... რომ ეხლა ჩინეთში მოჰყავთ ბამბა? იაპონელები იღებენ რა ახალ ოლქებს, მყისვე ახდენენ ნიადაგის გმორკვევას, რათა უკეთ გამოიყენონ ის თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საშუალებით. ჩრდილო-ჩინეთის პროვინციის აღებისთანავე, იაპონელები შეუდგნენ მის მეცნიერულ გამოკვლევას, რომელმაც ცხადჰყო, რომ ამ ოლქების კლიმატური თავისებურებანი სავსებით შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ოლქებს, სადაც ბამბა მოჰყავთ.

იაპონელები შეუდგნენ ცდების წარმოებას ბამბის მოყვანის დარგში ჩინეთის ხუბეის, შანდუნისა და შანსის პროვინციებში. მიღწევები მეტისმეტად დიდია, ამ რაიონებში მებამბეობის განვითარებაზე დიდ იმედებს ამყარებენ. 1946 წლისათვის იაპონელებს იმედი აქვთ ბამბის დიდი მოსავლისა, რომელსაც შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს წლიური მოთხოვნილება, რომელიც აღემატება 340.000 ტონას. იაპონიას ბამბა წინათ შემოჰქონდა შეერთებული შტატებიდან.

... რომ მატერიკები ცურავენ? მატერიკები შესდგებიან უმთავრესად მთის თხელი ქანებისაგან. ოდესღაც ყველა მატერიკი წარმოადგენდა ერთს საერთო კონტინენტს; გიგანტური ძალის მოქმედების შედეგად მოხდა მათი დაყოფა. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკამ „გასცურეს“ დასავლეთის მიმართულებით და ეხლაც ყოველწლიურად, დაახლოებით ნახევარი მეტრით შორდებიან ევროპას და აფრიკას. ამერიკის ორივე სანაპიროების მოხაზულობანი ერთის მხრივ ევროპისა და მეორის მხრივ აფრიკის მიმართ, სავსებით ეთანაბრება ერთმანეთს და თამამად შეიძლება დასდო ერთმანეთზე როგორც თანაბრად გაჭრილი ქაღალდის ფურცელი. მატერიკების მოძრაობის ეს თეორია წამოაყენა ცნობილმა გერმანელმა სწავლულმა გეოლოგმა და მკვლევარმა ალფრედ ვეგენერმა შრომაში, რომელსაც ეწოდება: „კონტინენტებისა და ოკეანების წარმოშობა“.

ეს ცნობილი მეცნიერი და გეოლოგი 1930 წელს დაიღუპა გრენლანდიის ექსპედიციის დროს.

საინტერესო თემაზე

ასტრონომიული აღმოჩენა

მანძილი დედამიწასა და მზეს შორის ასტრონომთათვის ისეთივე საზომი ერთეულია, როგორც მეტრი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მანძილს უწოდებენ „კოსმიურ მეტრს“. მანძილი დედამიწასა და მზეს შორის შეიძლება გაიზომოს პირდაპირი გზით, მაგრამ მოსალოდნელია შეცდომანი. ამიტომ ამ მანძილის განსაზღვრისათვის სარგებლობენ სხვა მეთოდით, ანუ ეგრეთწოდებული კეპლერის მესამე კანონით. განვსაზღვრეთ რა მანძილი დედამიწიდან მახლობელ პლანეტამდე, თანახმად ამ კანონისა შეიძლება ამოვიცნოთ მანძილი მზემდე.

1900 წელს ეს მანძილი გაზომილ იქნა უდიდესი სიზუსტით და უდრიდა 149.500.000 კილომეტრს. მაგრამ ასტრონომები ამ დაანგარიშებას მაინც არ სთვლიდნენ სრულიად ზუსტად. 1925 წელს მათ დაიწყეს სამზადისი მორიგი გაზომვისათვის. 1930 წელს იგი კვლავ იქნა გაზომილი და აღმოჩნდა, რომ მანძილი უდრის არა 149.500.000, არამედ 149.700 000 კილომეტრს. სხვაგვარად რომ ვსთქვათ მზე აღმოჩნდა დედამიწიდან 200.000 კილომეტრით მეტად მოშორებული, ვიდრე ეს იყო წინათ განსაზღვრული. ვინაიდან მანძილი მზესა და დედამიწას შორის ასრულებს „ასტრონომიული მეტრის“ როლს, ცხადია ცალკეულ პლანეტათა შორისაც იცვლება მანძილი.

ახალი მსოფლიო რეკორდი

ამასწინათ შვეციელმა არნე ანდერსონმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი რბენაში 1.500 მეტრზე. ეს მანძილი მან დაჰფარა 3 წუთსა და 45 წამის განმავლობაში. ამ რეკორდის შესაფასებლად, საჭიროა მოვიგონოთ, რომ რბენის დარგში ფინეთის „კოროლმა რბენაში“ ნურმიმ. ზემოთაღნიშნული მანძილი გაირბინა 3 წუთსა და 52 წამის განმავლობაში. ანდერსონი გარბოდა საშუალო სიჩქარით 100 მეტრი 15 წამის განმავლობაში. ანდერსონი აღმოჩნდა ნურმიზე უფრო სწრაფი 7 წამით და გაასწრო მას 50 მეტრით.

ქართული ერთსულოვნება

ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა მოწოდებამ ქართველი ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს დაარსების შესახებ ქართველ მამულიშვილებში და მხედრებში ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. რედაქციას, მრავალი წერილები მოსდის ქართველ მამულიშვილთაგან, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ საშვილიშვილო საქმეში.

„ჩვენ № ქართული საველე ათასეულის მე-3 ასეულის ჯარისკაცები მხურვალედ ვესალმებით თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს და გიგზავნით ნებაყოფლობით შეგროვილ 280 მარკას. ჩვენ შემდეგშიაც არ დავიშურებთ ჩვენს მცირეოდენ წვლილს სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა დასახმარებლად...“

ჯარისკაცების სახელით დ. ჩ-ა.

პროპაგანდის სამინისტროსთან არსებული ქართული რედაქციის თანამშრომლები, შემდეგს გვწერენ:

„სულით და გულით ვიზიარებთ თქვენი გაზეთის მოწოდებას, სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ლეგიონერთა დასახმარებელი ფონდის გამოყოფის შესახებ. პროპაგანდის სამინისტროსთან არსებულ ქართულ რედაქციას შემოაქვს თავისი წვლილი 80 მარკის რაოდენობით.

აღნიშნული თანხა არ არის დიდი, მაგრამ იგი დიდია იმდენად, რამდენადაც უცხოეთში მყოფ მებრძოლებისათვის წარმოადგენს თანაგრძნობას, მათ ჭრილობაზე მალამოს ადებს ქართველის ხელი. იმედია, რომ ქართველობა ამ მოწოდებას გამოეხმაურება ტრადიციული ჩვეულებით და კიდევ უფრო განამტკიცებს სოლიდარობას მებრძოლ ძმებთან“.

დიდება საქართველოს! ქართული რედაქციის სახელით: დ. ანანიაშვილი

„ქართველ ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე ფონდში, — გვწერს სოსო ირემაშვილი, — შემომაქვს 100 მარკა“.

ამავე ფონდის შექმნას გამოეხმაურნენ № ათასეულის მებრძოლები. მე-5 ასეულმა გამოგზავნა 573 მარკა და 60 პფ. 234 მ. და 50 პფ. გამოგზავნეს № მუშათა ბატალიონის მე-5 ასეულის მხედრებმა.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია გულმხურვალე მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი გაიღეს ამ მეტად მნიშვნელოვანი ფონდის გასაძლიერებლად.

მთავარი რედაქტორი
ახმეთ. ბაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.

Berlin W 8, Behrenstraße 65, III.
Druck: Deutscher Verlag, Berlin.